



ISFED

სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეხუთე შუალედური ანგარიში
(8 სექტემბერი - 6 ოქტომბერი)

15 ოქტომბერი, 2013

თბილისი

ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით.

ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ”სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას” და შესაძლოა, არ გამოხატავდეს NDI-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



I. სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა

„სამართლიანი არჩევნები“ საანგარიშო პერიოდში აქტიურად აკვირდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას ყველა საარჩევნო ოლქში.

2013 წლის 8 სექტემბრიდან 2013 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით შეინიშნებოდა წინასაარჩევნო კამპანიის მკვეთრი გააქტიურება. „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის მიერ 253 საჯარო შეხვედრა გაიმართა, რაც დაახლოებით სამჯერ აღემატება წინა ერთი თვის მონაცემებს.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის 5 ფაქტი, მათ შორის 4 - საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ მხრიდან, ხოლო 1 - „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ კანდიდატის მხარდამჭერის მხრიდან პანკისის ხეობის სოფლების სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, რომელთაც წინასაარჩევნო შეხვედრაზე დასწრება აიძულეს.

ამასთანავე, დაფიქსირდა პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების 1 ფაქტი „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ წევრზე, ასევე, 1 სავარაუდო ფაქტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერზე.

აღნიშნულ პერიოდში გამოვლინდა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელის შეშლის 3 ფაქტი. ზუგდიდში, თბილისსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთში წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელი შეეშალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს - დავით ბაქრაძეს.

ასევე, გამოვლინდა არასათანადო ადგილას წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების 1 ფაქტი სენაკის რაიონის ზანის თემის საჯარო სკოლის შენობაში.

საანგარიშო პერიოდში, წინა პერიოდის მსგავსად, აქტუალური იყო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საკითხი. კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 4 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სასარგებლოდ ორ შემთხვევას.

უწყებათაშორისი კომისიის მიერ მიღებული რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ გრძელდებოდა საკადრო ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. საანგარიშო პერიოდში გამგებელი შეიცვალა 5 მუნიციპალიტეტში, 1 მუნიციპალიტეტში გადააყენეს საკრებულოს თავმჯდომარე, თანამდებობა დატოვა ერთმა მერმა.

„სამართლიანი არჩევნები“, ასევე, აკვირდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობას და მიიჩნევს, რომ კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა გააუქმოს, ან საფუძვლიანად შეცვალოს 2012 წლის დადგენილება კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე ფოტო-ვიდეო გადაღების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ“ საქმიანობის ანგარიში გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ანგარიშში არ მოხვდა „სამართლიანი არჩევნების“ მიერ კომისიისთვის მიწოდებული მთელი რიგი პრობლემატური საკითხები.

II. ძირითადი დასკვნები

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრებზე ზეწოლის შემთხვევები¹.
 - i. საუბნო საარჩევნო კომისიების მათთვის სასურველი კანდიდატებით დაკომპლექტების მიზნით, კოალიცია „ქართული ოცნების“ მცხეთის შტაბის ხელმძღვანელი და მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატის თანაშემწე **მცხეთის** საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში უხეშად ჩაერია;
 - ii. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი **ამბროლაურში**, სადაც სასურველი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების საქმიანობაში ჩარევა გიორგი მარგველაშვილის შტაბის ხელმძღვანელმა - არჩილ ჯაფარიძემ სცადა;
 - iii. საოლქო კომისიის საქმიანობაში ჩარევა, ამავე მიზნით, ასევე, სცადა კოალიცია „ქართული ოცნების“ **ჩოხატაურის** შტაბის ხელმძღვანელმა - ირაკლი კუჭავამ;
 - iv. საოლქო კომისიის საქმიანობას ხელი ასევე შეეშალა **თბილისში**, სადაც კომისიის სხდომაზე ერთ-ერთი წევრი ცდილობდა კოლეგების გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას და საუბნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის პოზიციებზე მისთვის სასურველი პირების არჩევას.
 - v. საოლქო კომისიის წევრებზე ზეწოლის *სავარაუდო* ფაქტს, ასევე, ადგილი ჰქონდა **მარტვილში**.

¹ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 4.1 თავში;

- სავარაუდო **ზეწოლა** დაფიქსირდა **პანკისის** ხეობის სოფლების სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, სადაც, მოსახლეობის თქმით, სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი მათ ნინო ბურჯანაძესთან დაგეგმილ შეხვედრაზე დასწრებისაკენ მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალური დახმარების შეწყვეტაზე მიანიშნებდა².
- წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა **პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების** შემთხვევა სოფელ სვერის რწმუნებულის მხრიდან „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ წევრზე³, ასევე, პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორების ერთი სავარაუდო ფაქტი თბილისში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერზე⁴.
- გამოვლინდა წინასაარჩევნო **კამპანიის წარმოებაში ხელის შეშლის** არაერთი ფაქტი. ზუგდიდში, თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთსა და თბილისში წინასაარჩევნო შეხვედრების ჩატარებაში ხელი შეეშალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს⁵.
- **სენაკში**, ზანის თემის საჯარო სკოლაში, ამომრჩეველთან შეხვედრა გამართა კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა წარმომადგენლებმა⁶. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სკოლის შენობებში იკრძალება ნებისმიერი სახის პოლიტიკური აგიტაცია. შესაბამისად, აუცილებლად მივიჩნევთ, განათლების სამინისტროს მიერ გაიცეს მკაფიო ახსნა-განმარტება საჯარო სკოლების შენობების გამოყენების შესახებ წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმავე სკოლაში წინასაარჩევნო შეხვედრის გამართვაზე უარი ეთქვა ლეიბორისტული პარტიის კანდიდატს - შალვა ნათელაშვილს.

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების** ფაქტები.
 - i. **გიორგი მარგველაშვილის** წინასაარჩევნო კამპანიას⁷ ჩოხატაურში, ახალციხეში, თბილისსა და ლაგოდეხში სამუშაო დროს არაუფლებამოსილი პირები, მათ შორის საოლქო კომისიის წევრები ესწრებოდნენ;

² დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 4.2 თავში;

³ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 5.1 თავში;

⁴ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 5.2 თავში;

⁵ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VI თავში;

⁶ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VII თავში;

⁷ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 8.1 თავში;

- ii. არაუფლებამოსილი პირების დასწრება, ასევე, დაფიქსირდა **დავით ბაქრაძის** მიერ გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრებზე⁸ რუსთავსა და ზუგდიდში.
- პრობლემატური იყო საკადრო ცვლილებები **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში**. საანგარიშო პერიოდში გამგებელი 5 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, საკრებულოს თავმჯდომარე ერთ მუნიციპალიტეტში გადააყენეს. თანამდებობა კონკურსით დანიშნულმა ერთმა მერმა დატოვა. ზეწოლა განხორციელდა კასპის მუნიციპალიტეტის რწმუნებულებზე მათი თანამდებობიდან წასვლის მიზნით⁹.
 - ცენტრალურმა საარჩევნო კომისიას, არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიუხედავად, ამ დროისთვის არ გაუუქმებია დადგენილება, რომლითაც საარჩევნო უბნებზე კანონით გარანტირებული **ფოტო-ვიდეო გადაღება** იზღუდება. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ აღნიშნული დადგენილება ეწინააღმდეგება „საარჩევნო კოდექსს“, შესაბამისად ცესკომ კენჭი უნდა უყაროს კანონსაწინააღმდეგო მუხლების გაუქმების საკითხს¹⁰.
 - საანგარიშო პერიოდში საქმიანობის ანგარიში გამოაქვეყნა „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ“, რომელშიც არ ასახულა „სამართლიანი არჩევნების“ არაერთი რეკომენდაცია და მიწოდებული ფაქტი ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ზეწოლის, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებისას არსებული პრობლემების შესახებ¹¹.

⁸ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის 8.2 თავში;

⁹ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IX თავში;

¹⁰ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის X თავში;

¹¹ დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის XI თავში;

III. რეკომენდაციები

კოალიცია „ქართულ ოცნებას“ - მოახდინოს მკაცრი რეაგირება მათი წევრების მხრიდან საოლქო თუ საუბნო კომისიების დაკომპლექტებაში უხეში ჩარევისა და აღნიშნული კომისიების წევრებზე ზეწოლის განხორციელების მცდელობის ფაქტებზე, ასევე, მათი წევრებისა თუ აქტივისტების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლის ფაქტებზე.

სამართალდამცავ ორგანოებს:

- გამოიძიონ ახმეტის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსის მხრიდან პანკისის ხეობის სოფლების სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიმართ სავარაუდო მუქარის ფაქტი;
- გამოიძიონ ჭიათურის რაიონის სოფ. სვერის რწმუნებულის მხრიდან პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მოახდინოს შესაბამისი რეაგირება საჯარო სკოლების შენობების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით;
- არ დაუშვას პედაგოგების იძულებით ჩართვა წინასაარჩევნო აგიტაციაში და მათი პოლიტიკური ნიშნით გამოყენება.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- მოახდინოს შესაბამისი რეაგირება საოლქო კომისიების წევრების აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტებზე;
- გააუქმოს დადგენილება #42/2012-ის ის უკანონო მუხლები, რომელიც კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე ფოტო-ვიდეო გადაღებას არეგულირებს.

საჯარო მოხელეებს - თავი შეიკავონ სამუშაო საათებში რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაციაში მონაწილეობისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს - გაითვალისწინონ უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებისაგან თავის შეკავების შესახებ.

უწყებათაშორის კომისიას - რეაგირება მოახდინოს არასამთავრობო სექტორის მიერ გამოქვეყნებულ ფაქტებზე, ასევე, კომისიის სხდომების გახადოს მეტად კონსტრუქციული და პოლიტიკური დაპირისპირებისაგან თავისუფალი.

IV. პოლიტიკური მოტივით ზეწოლა-მუქარა

4.1 ზეწოლა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებზე

მცხეთა - „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ჩარევა უხეში ფორმებით მოხდა. კოალიციის მცხეთის შტაბის ხელმძღვანელი - გიორგი გოგიძე და მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატის თანაშემწე - მადონა ჯიქია საოლქო საარჩევნო კომისიაში მივიდნენ სიით და მოითხოვეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად მათთვის სასურველი პირების არჩევა. საოლქო კომისიის წევრებმა „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორს დაუდასტურეს აღნიშნული ინფორმაცია, თუმცა თხოვეს მათი გვარების გასაჯაროებისაგან თავი შეეკავებინა.

ამბროლაური - „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები პირველი სხდომის ჩატარებამდე დაიბარეს კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბში. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აღნიშნავენ, რომ შეხვედრაზე ძირითადად საუბარი იყო საუბნო საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელი პირების კანდიდატურებზე. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ, როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის, ასევე კოალიციის წევრები. პრეზიდენტობის კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის შტაბის ხელმძღვანელის - არჩილ ჯაფარიძის განცხადებით, მას შეხვედრა ჰქონდა კოალიციის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში წარდგენილ წევრებთან, თუმცა არ გამორიცხავს იმ ფაქტსაც, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე ოლქის მიერ დანიშნული წევრებიც ყოფილიყვნენ.

ჩოხატაური - „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლის ინფორმაციით, კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩოხატაურის შტაბის ხელმძღვანელი - ირაკლი კუჭავა წინასწარ ადგენდა კოალიციის აქტივისტებით დაკომპლექტებულ სიებს, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს უნდა გადასცემოდათ, რათა მათ აღნიშნული პირები საუბნო კომისიების წევრებად აერჩიათ. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ - თემურ კუტუბიძემ საოლქო კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ პირდაპირ გამოხატა უკმაყოფილება კომისიის წევრების მიმართ, რადგან წინასწარ მითითებული ზოგიერთი კანდიდატი მათ მიერ არ იქნა არჩეული. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორთან საუბარში აღნიშნული ფაქტი დაადასტურა საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა წევრმაც, რომლის თქმითაც საოლქო კომისიის წევრები აღნიშნული ზეწოლის გამო ვერ ახერხებენ სასურველი კანდიდატებისთვის ხმის მიცემას.

თბილისი - ჩუღურეთის რაიონის N37-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის - გივი არჩუაძის განცხადებით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებზე განხორციელდა ზეწოლა. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს - მაია თევდორაძეს, კომისიის სხდომიდან სათითაოდ გაჰყავდა სხვა წევრები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატურებზე მისთვის სასურველი პირების დანიშვნას ავალდებულებდა.

მარტვილი - საანგარიშო პერიოდში მედიასამუშაოებით გავრცელდა ინფორმაცია, მარტვილის N65-ე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებზე ზეწოლის შესახებ. „გურია ნიუსის“ ცნობით,

კოალიცია „ქართული ოცნების“ მარტვილის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენელი - ლევან სურმავა საოლქო საარჩევნო კომისიაში მივიდა სიით, სადაც მითითებული იყო იმ პირთა მონაცემები, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის თავჯდომარის, მოადგილისა და მდივნის თანამდებობაზე უნდა აერჩიათ.

საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ მე-8 მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად, *„საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით“*. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თითქმის ნახევარი პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები არიან¹² ისინი თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ და მათ დამნიშვნელ/ამრჩევ სუბიექტებს არ წარმოადგენენ.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ დაუშვებელია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში პარტიის წარმომადგენლების ჩარევა და მოუწოდებს პარტიის ხელმძღვანელებსა და კომპეტენტურ ორგანოებს მკაცრი რეაგირება მოახდინონ აღნიშნულ ფაქტებზე.

4.2 ზეწოლა პანკისის ხეობის სოფლების მოსახლეობაზე

16 სექტემბერს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის - ნინო ბურჯანაძის შეხვედრას ახმეტაში ესწრებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი - თამარ ონიაშვილი. იგი „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ პარტიის ახმეტის შტაბის თავმჯდომარის - ბაგრატ ნათელაურის მეუღლეა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პანკისის ხეობის სოფლებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირები გააფრთხილეს, რომ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრას თუ არ დაესწრებოდნენ, სოციალური დახმარება შეუწყდებოდათ.¹³

V. პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორება

5.1 ფიზიკური ანგარიშსწორება „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ წევრზე

„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, 2013 წლის 9 სექტემბერს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ სვერის რწუმუნებულმა - ილო ბიწაძემ სიტყვიერი და

¹² საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსის“ მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, არჩევნების დანიშვნის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის 7 წევრს ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები.

¹³ <http://ick.ge/rubrics/politics/15829-i.html>

ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ კოორდინატორს რამაზ კუპრაძეს.

რწმუნებულის განცხადებით, რამაზ კუპრაძე პრეზიდენტობის კანდიდატის ხელმოწერებს აგროვებდა. იგი ტელეფონით დაუკავშირდა მას და მოსთხოვა შეეწყვიტა მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა. სატელეფონო საუბრის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა, ხოლო პირისპირ შეხვედრისას რწმუნებულმა „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ კოორდინატორს სოფლის მოსახლეობის თვალწინ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი პირადად ესაუბრა რამაზ კუპრაძეს, ასევე ამ ფაქტის თვითმხილველ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებმაც რწმუნებულის მხრიდან მისი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი დაადასტურეს.

5.2 პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების სავარაუდო ფაქტი თბილისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერზე

ამა წლის 5 ოქტომბერს, ნაძალადევის რაიონში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერს - კახა კალაშოვს მისივე განცხადებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიტიკური შეხედულებების გამო. კახა კალაშოვის ინფორმაციით, მოქალაქეები - მიხეილ სამანაშვილი, თამაზ გვარამია და კიდევ ერთი მისთვის უცნობი პიროვნება, მას თავისივე ჯიხურიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი პლაკატების ჩამოხსნას სთხოვდნენ. შეკამათება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი, ასევე, ესაუბრა სამანაშვილსა და გვარამიას, რომლებიც აღნიშნულ ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ გამოხატვის თავისუფლების ამგვარი შეზღუდვისა და პოლიტიკურ ნიადაგზე ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ სამართალდამცავებმა ორგანოებმა.

VI. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელის შეშლა

ზუგდიდი - „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, 2013 წლის 11 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის ამომრჩევლებთან შეხვედრის პარალელურად საპროტესტო აქციის გამართვის მიზნით, სამეგრელოს რეგიონის სოფლებიდან მოქალაქეები ჩამოიყვანეს, რასაც ორგანიზებას ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისათვის“ თავჯდომარე - ლალი ანთია და „დაიცავი საქართველოს“ აქტივისტი კახა მიქაია უწევდნენ. საპროტესტო აქციის გამართვის მიზნით, აღნიშნული აქტივისტების

მობილიზება მოხდა ქ. ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლასთან. შეხვედრა დაპირისპირებასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა.

თეთრიწყაროს რაიონი სოფ. ასურეთი - მსგავსი ფაქტი განმეორდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თეთრიწყაროს რაიონის, სოფ. ასურეთში გამართულ შეხვედრაზე, სადაც „ქართული ოცნების“ წევრმა ადგილობრივმა მოსახლეებმა - თემურ ბეგიაშვილმა და ნუგზარ ჩომახაშვილმა, პროვოკაციული ქმედებებით და შეძახილებით სცადეს შეხვედრა ჩაეშალათ, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით ინციდენტის აღმოფხვრა მოხერხდა.

ქ. თბილისი, ფონიჭალა -2013 წლის 9 სექტემბერს თბილისში, ქვემო ფონიჭალის დასახლებაში, პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის შეხვედრის ჩაშლას, „ქართული ოცნების“ მაისურებში გამოწყობილი პირები კვლავ პროვოკაციული ქმედებებითა და შეძახილებით შეეცადნენ. შეხვედრა შეხლა-შემოხლასა და სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

VII. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება არასათანადო ადგილას

2013 წლის 22 სექტემბერს სენაკის რაიონის ზანის საჯარო სკოლის შენობაში ამომრჩეველთან წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა წარმომადგენლებმა.

„საარჩევნო კოდექსის“ თანახმად,¹⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ამ შენობა-ნაგებობების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის. ზანის საჯარო სკოლა აღნიშნულ შენობა-ნაგებობათა სიაში არ შედის.

გარდა ამისა, დაუშვებლად მიგვაჩნია, წინასაარჩევნო აგიტაციისათვის საჯარო სკოლების შენობების გამოყენება. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შესაბამისი ინსტრუქციები უნდა გასცეს აღნიშნული საკითხის შესახებ.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ იმავე შენობაში, ამა წლის 3 სექტემბერს წინასაარჩევნო შეხვედრის გამართვა, ასევე, სურდა „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატს - შალვა ნათელაშვილს, თუმცა პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლის - თამაზ ბოჯგუას ინფორმაციით, ზანის თემის საჯარო სკოლის დირექტორმა - რომან კვაშილავამ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა - მანანა გრიგოლავამ მას უარი განუცხადეს ზანის საჯარო სკოლაში შეხვედრის გამართვაზე.

¹⁴ „საარჩევნო კოდექსი“ მუხლი 45(9)

VIII. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

8.1 გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანია

8.1.1 ჩოხატაური

2013 წლის 13 სექტემბერს კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის ამომრჩევლებთან შეხვედრას სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების გარდა, გურიის სამხარეო პოლიციის უფროსი - გოჩა ფარსაშვილი, მისი მოადგილე - გურამ ასათიანი, ჩოხატაურის პოლიციის სამართველოს უფროსი - აკაკი მაისურაძე და მისი მოადგილე - ზაზა დოლიძე სამოქალაქო ტანსაცმელში ესწრებოდნენ. მათი განცხადებით, შეხვედრას მხოლოდ უსაფრთხოების დაცვის მიზნით აკვირდებოდნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისმა კომისიამ 2013 წლის 30 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა და საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მიერ ორგანიზებული აგიტაციისა და კამპანიის დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებაში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თითოეულ მოსამსახურეს მოუწოდა დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმლის ტარება და შეკრებიდან 5 მეტრიანი დისტანციის დაცვა¹⁵, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

8.1.2 ახალციხე

11 სექტემბერს, ახალციხეში, კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები ესწრებოდნენ. აქციის მონაწილეების, მათ შორის საჯარო სკოლების მასწავლებლების უფასოდ ტრანსპორტირება ახლომდებარე სოფლებიდან „ქართული ოცნების“ ადგილობრივი შტაბის ორგანიზებითა და დაფინანსებით განხორციელდა. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორთან საუბარში, თისელის საჯარო სკოლის მასწავლებელმა - მაია უსტიმენკომ განაცხადა, რომ ამავე სკოლის დირექტორმა - დიანა კახელმა მოსთხოვა მასწავლებლებს აღნიშნულ შეხვედრაზე დასწრება და უფროსკლასელების წაყვანა.

გიორგი მარგველაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს მსგავსი ფაქტი განმეორდა კასპშიც, რასაც „სამართლიანი არჩევნები“ წინა ანგარიშში გამოეხმაურა და მოუწოდა

¹⁵ იხ. 2013 წლის 30 სექტემბრის „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები: <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FRekomendaciebi%2Fpdf%2FRecommendations%2030%2009%202013.pdf>

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს არ მომხდარიყო პედაგოგთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა.

8.1.3 თბილისი

25 სექტემბერს კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის ამომრჩევლებთან შეხვედრა თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გაიმართა. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის დაკვირვებით, გიორგი მარგველაშვილის შეხვედრაზე ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი - ციციხოველივილი ესწრებოდა.

8.1.4 ლაგოდეხი

მსგავსი ხასიათის დარღვევას ადგილი ჰქონდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებს ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს სოფელ კაბალაში. აღნიშნულ შეხვედრას კაბალის N18 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი - ბაქირ იუნესოვი ეწრებოდა.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრებს არა აქვთ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

8.2 დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო კამპანია

8.2.1 რუსთავი

2 ოქტომბერს რუსთავში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის უფროსი - მათა დოლიძე და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე - მამუკა ჩიქოვანი.

8.2.2 ზუგდიდი

2013 წლის 11 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის - დავით ბაქრაძის ამომრჩევლებთან შეხვედრა ქ. ზუგდიდში გაიმართა. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, 17:00 საათზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი - ანა წითლიძე, საკრებულოს

აპარატის უფროსი - თეიმურაზ ბასილაია, ასევე აპარატის თანამშრომლები - ბართლომე შელია და ლევან მაქაცარია ესწრებოდნენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოების საჯარო მოხელეებს-სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებივ ფუნქციებს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

IX. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული საკადრო ცვლილებები

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისადმი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, თვითმმართველობებში საკადრო ცვლილებები ინტენსიურად მიმდინარეობს, მათ შორის ხდება გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარეების გადაყენება თანამდებობიდან. საანგარიშო პერიოდში გამგებელი 5 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, საკრებულოს თავმჯდომარე ერთ მუნიციპალიტეტში გადააყენეს. თანამდებობა კონკურსით დანიშნულმა ერთმა მერმა დატოვა. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, კასპის მუნიციპალიტეტში რწმუნებულებზე გარკვეული ზეწოლა განხორციელდა მათი თანამდებობიდან წასვლის მიზნით.

გამგებლები პირადი განცხადების საფუძველზე შეიცვალა **ბოლნისში, ონში, ქედასა და თეთრიწყაროში**, თუმცა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში განვითარებული მოვლენები იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ თანამდებობის დატოვება არ იყო ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება. **ვანში** გამგებელს საკრებულომ უნდობლობა გამოუცხადა და გადააყენა. **ბოლნისში** განვითარებული მოვლენების შემდეგ საკრებულოს ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა **ქუთაისის** მერი, რომელიც კონკურსის წესით ივნისში დაინიშნა. გადადგომის მიზეზები მერმა არ განმარტა. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით **კასპში** გამგებლის ცვლილების შემდეგ რწმუნებულებს მოსთხოვეს გათავისუფლების შესახებ განცხადებების დაწერა.

თვითმმართველობებში განხორციელებული ცვლილებები განსაკუთრებით მწვავედ ბოლნისის, ქედისა და კასპის მუნიციპალიტეტებში წარიმართა.

ბოლნისი - აგვისტოს ბოლოს მუნიციპალიტეტში განვითარებული მოვლენების შემდეგ გამგებელი ლევან ფალავანდიშვილი სასამართლომ გამგებლის თანამდებობაზე აღადგინა, თუმცა, რამდენიმე დღეში მან პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა. 10

სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე ობოლაძე დაინიშნა.

ამავე დღეს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა ახალ თავმჯდომარედ ჯონი ხეცურიანი აირჩიეს. საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის მხარდამჭერი 9 დეპუტატი პროტესტის ნიშნად სხდომას არ დაესწრო.

ქედა - ქედის საკრებულოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, 9 სექტემბერს, ოცდამეხუთედ გაიმართა სხდომა და ამჯერად ქვორუმი შედგა. 13 დეპუტატიდან გამგებლის გადადგომას ათმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. გადადგომის მიზეზად ყოფილმა გამგებელმა პოლიტიკური ვითარება დაასახელა.

11 სექტემბერს საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 19 დეპუტატიდან 16 ხმით არჩეულ იქნა ახალი გამგებელი, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი - დავით დუმბაძე. გამგებლის ვაკანტურ ადგილზე მხოლოდ ერთადერთი განაცხადი იყო წარდგენილი.

კასპი - გამგებლის შეცვლის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 9 სექტემბერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს გათავისუფლების შესახებ უთარილო განცხადებების დააწერინეს. აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორს რამდენიმე რწმუნებულმა სატელეფონო საუბარში დაუდასტურა, თუმცა, მეორე დღეს ფაქტის საჯაროდ გაცხადებაზე უარი თქვეს. გამგებელმა აღნიშნულზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის, ნიკოლოზ ლაფერაშვილის განცხადებით, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს სექტემბრის დასაწყისში დაწერილი გათავისუფლების შესახებ უთარილო განცხადებები გამგებლის თანაშემწესთან დაატოვებინეს. 19 სექტემბერს სოფელ მეტეხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ალექსანდრე მერებაშვილი და სოფელ ქვემო გომის რწმუნებული დავით მჭედლიშვილი გათავისუფლდა სამსახურიდან.

კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი - გოჩა გოჩიტაშვილი, რწმუნებულებზე ზეწოლას და განცხადებების დაწერის მოთხოვნას უარყოფს. მისი თქმით, მხოლოდ იმ რწმუნებულების გათავისუფლება ხდება, რომლებიც სათანადოდ ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

„სამართლიანი არჩევნები“ ასეთი ხასიათის ცვლილებებს პოლიტიკური ზეწოლის მცდელობად აფასებს და მიიჩნევს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა წინასაარჩევნო პერიოდში თავი უნდა შეიკავონ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების განხორციელებისაგან, რათა ეს არ იქნეს აღქმული საჯარო მოსამსახურეთა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მცდელობად.

X. საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო უბნებში ფოტო-ვიდეო გადაღება

2012 წლის 24 სექტემბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება #42/2012, რომელიც კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე ფოტო-ვიდეო გადაღებას არეგულირებს.

აღნიშნული დადგენილება 1 წლის წინ „სამართლიანმა არჩევნებმა“ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ყველა ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრა და მისი ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა, სამწუხაროდ, არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა.

გამომდინარე იქიდან, რომ ცესკო კვლავ განიხილვას ამ დადგენილების არსებობის მიზანშეწონილობას, გვსურს, კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

- მიგვაჩნია, რომ დადგენილება ეწინააღმდეგება „საქართველოს საარჩევნო კოდექსს“ და ზღუდავს კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტით დადგენილ უფლებას ფოტო-ვიდეო გადაღების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: „საარჩევნო კოდექსის“ მე-8 მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ განახორციელონ ფოტო-ვიდეო გადაღება. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს უფლებააღმჭურველ ნორმას, რომლის შეზღუდვის უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არ აქვს. ცესკოს მიერ მიღებული დადგენილება ზღუდავს ფოტო-ვიდეო გადაღების უფლებას იმაზე მეტად, ვიდრე ეს საარჩევნო კოდექსით არის გათვალისწინებული. მაგალითად, დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მინიმალური მანძილი ფოტო-ვიდეო გადასაღებად უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრით დაშორებული გადაღების ობიექტიდან, ასევე, დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით, თუ პირი კამერით გადაადგილდება ან ტოვებს კენჭისყრის შენობას, ის კარგავს ფოტო-ვიდეო გადაღების უფლებას. გარდა ამისა, დადგენილების ბევრი ნორმა არის ბუნდოვანი და იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც ქმნის ფოტო-ვიდეო გადაღების უფლების შეზღუდვის მეტ შესაძლებლობას.
- „საარჩევნო კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ცესკოს დადგენილება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის მიღებაც შეიძლება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე, დადგენილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ცალკეული საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციაც, რომელიც არ უნდა შეიცავდეს კანონით დადგენილისგან განსხვავებულ ან ახალ ნორმას და რომელიც შეიძლება ადგენდეს კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაწვრილებით აღწერას.

არსებული დადგენილება არ პასუხობს საარჩევნო კოდექსის მოცემულ მოთხოვნას, რადგან „საარჩევნო კოდექსის“ მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი პირდაპირ არ მოითხოვს დადგენილების მიღებას და დამატებითი წესის განსაზღვრას. ამასთან, როგორც აღინიშნა, მიღებული დადგენილებით დაწესებულია უფრო ფართო შეზღუდვები ფოტო-ვიდეო გადაღებაზე, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით, რითაც დადგენილება სცილდება კანონის მოთხოვნას და აწესებს საარჩევნო კოდექსისაგან განსხვავებულ უფლებამშემზღუდველ ნორმებს.

დადგენილებით ცალსახად შეზღუდულია „საარჩევნო კოდექსის“ მე-8 მუხლის 25-ე პუნქტით განსაზღვრული ფოტო-ვიდეო გადაღების უფლება, რაც მიუღებლად მიგვაჩნია და მოვუწოდებთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კენჭისყრაზე დააყენოს დადგენილების კანონსაწინააღმდეგო მუხლების გაუქმების საკითხი.

XI. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ“ 2013 წლის 30 სექტემბერს საქმიანობის ანგარიში გამოაქვეყნა. „სამართლიანი არჩევნები“ ნაწილობრივ პოზიტიურად აფასებს აღნიშნული კომისიის მუშაობას და მიესალმება კომისიის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, თუმცა, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომისიამ უყურადღებოდ დატოვა „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მიწოდებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საქმიანობის ანგარიშში არ აისახა.

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ უწყებათაშორისი კომისიისთვის მიწოდებული ინფორმაცია, რაც უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშში არ აისახა:

1. ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები

„სამართლიანმა არჩევნებმა“ უწყებათაშორისი კომისიას მიაწოდა ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის რამდენიმე ფაქტი, რომლებზეც კომისიამ შეფასებები და განმარტებები არ გააკეთა. აღნიშნული ფაქტებია:

- ა(ა)იპ **სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის** დაფინანსება საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ¹⁶;

¹⁶ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პირველი ანგარიში, გვ.6

- პრემიერ მინისტრის ოჯახის მიერ სააგენტო ინფო 9-ის უსასყიდლოდ გადაცემა მენეჯმენტი კომპანიისთვის¹⁷;
- პრემიერის მხრიდან შუამთობის დღესასწაულზე ახალდაქორწინებულ ოჯახისთვის ძვირფასი საჩუქრის გადაცემა¹⁸.

2. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები

უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშში, ასევე, არ აისახა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რამდენიმე ფაქტი:

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფართომასშტაბიანი შეწყალების გამოცხადება¹⁹;
- გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანია გორში, სადაც 2013 წლის 14 აგვისტოს ამომრჩეველთან მის შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სამუშაო საათებში ესწრებოდნენ²⁰;
- კასპის რაიონში პედაგოგთა მობილიზება სოფლის რწმუნებულების მიერ, რომლებმაც უზრუნველყვეს მათი ტრანსპორტირება გიორგი მარგველაშვილთან შესახვედრად²¹;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის - დავით ბაქრაძის შეხვედრა რუსთავში სადაც საჯარო მოხელეები სამუშაო საათებში იმყოფებოდნენ²²;
- გიორგი მარგველაშვილის სასარგებლოდ აგიტაცია ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებაზე, „თუშეთობაზე“²³.

3. ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებისას არსებული პრობლემების შესახებ

- კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებაში უხეში ჩარევისა და სავარაუდო ზეწოლის ფაქტები ჩოხატაურში, მცხეთასა და მარტვილში²⁴

¹⁷ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეოთხე ანგარიში, გვ.11

¹⁸ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე ანგარიში, გვ.10

¹⁹ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე ანგარიში, გვ.14

²⁰ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეოთხე ანგარიში, გვ.9

²¹ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეოთხე ანგარიში, გვ.10

²² იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეოთხე ანგარიში, გვ.11

²³ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეორე ანგარიში, გვ.7

4. ინფორმაცია ზეწოლის ფაქტების შესახებ

უწყებათაშორის კომისიის ანგარიშს მიღმა დარჩა, ასევე, „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მიწოდებული ზეწოლის რამდენიმე ფაქტი:

- კასპის საკრებულოს დეპუტატებზე ზეწოლის ფაქტი უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მხრიდან²⁵;
- ტელეკომპანია მანეტროზე ხელისუფლების ერთი ფრთის მიერ სავარაუდო პოლიტიკური ზეწოლის არსებობა²⁶.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ უწყებათაშორისი კომისია კომისიის დებულების თანახმად, ვალდებულია შეისწავლოს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტები და მათზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

XII. საჯარო შეხვედრები

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 2013 წლის 9 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში პოლიტიკური პარტიებისა და მათი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ 253 საჯარო შეხვედრა გაიმართა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 138 შეხვედრა გამართა. შეხვედრებისას მთავარი დაპირებები ეკონომიკის გაძლიერებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, გაზიფიკაციის პრობლემების მოგვარებას, პენსიების, ასევე, პედაგოგთა ხელფასების ეტაპობრივ ზრდას ეხებოდა. კანდიდატი, ასევე, შეეხო საგარეო პოლიტიკას და შეხვედრებისას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზეც ისაუბრა.

„დემოკრატიულმა მოძრაობა - ნინო ბურჯანაძემ“ 45 შეხვედრა გამართა. მთავარი დაპირებები კონფლიქტების დარეგულირებას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებას, ასევე, ქვეყნის გაერთიანებასა და ეკონომიკის გაძლიერებას ეხებოდა. ნინო ბურჯანაძე მოქალაქეებს, ასევე, დამოუკიდებელი და კომპეტენტური სასამართლოს აუცილებლობასა და კოჰაბიტაციის დასრულებაზეც ესაუბრა.

²⁴ „სამართლიანმა არჩევნებმა“ აღნიშნული საკითხი უწყებათაშორისი კომისიის 30 სექტემბრის სხდომაზე დააყენა, ასევე ელექტრონული ფოსტით ინფორმაცია გადაუგზავნა ქ-ნ ირინა იმერლიშვილს.

²⁵ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე ანგარიში, გვ.12

²⁶ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე ანგარიში, გვ.8.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 36 შეხვედრა გამართა. კანდიდატის დაპირებები ძირითადად შემდეგ საკითხებს ეხებოდა: დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება, საქართველოს ევროპული კურსის გაგრძელება, მრავალპარტიული მმართველობა, ეკონომიკის გაძლიერება.

„ქრისტიან დემოკრატიულმა მოძრაობამ“ 12 შეხვედრა გამართა, სადაც კანდიდატმა ძირითადად ისაუბრა გადამამუშავებელი საწარმოებისა და მცირე ჰიდროელექტრო სადგურების აშენების აუცილებლობაზე, დაბალპროცენტიანი საბანკო სესხების საშუალებით მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე, ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვაზე, ქვეყნის ეკონომიკურ და ტერიტორიულ პრობლემებზე.

12 შეხვედრა გამართა **„ლეიბორისტულმა პარტიამ“**, სადაც კანდიდატმა შემდეგი დაპირებები გააკეთა: სოფლის მეურნეობის განვითარება, უფასო განათლება, უფასო ჯანდაცვა, სალარო აპარატების გაუქმება, უცხოელ მოქალაქეებზე მიწების გასხვისების შეზღუდვა, რუსეთთან უვიზო რეჟიმის შემოღება და რუსეთის ბაზარზე დაბრუნება.

„კობა დავითაშვილი – ხალხის პარტიამ“ საანგარიშო პერიოდში 6 შეხვედრა გამართა, სადაც ძირითადად ისაუბრა სამართლიანობის აღდგენაზე, იპოთეკარების პრობლემების მოგვარებასა და პენსიების გაზრდაზე, ასევე, მუშახელის შემოყვანის აკრძალვასა და სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენისთვის შეზღუდვების დაწესების აუცილებლობაზე.

საანგარიშო პერიოდში თითო შეხვედრა გამართეს ზურაბ ხარატიშვილმა, თამაზ ბიბილურმა, ნესტან კირთაძემ და ლევან ჩაჩუამ.

XIII. მისიის შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრაცია გაიარა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი ორგანიზაციამ 2013 წლის 1 ივლისს დაიწყო. „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვებას საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს, რომლებმაც სათანადო მომზადება და ტრენინგი მონიტორინგის დაწყებამდე გაიარეს. გრძელვადიანი დამკვირვებლები თავიანთი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით²⁷, რაც პირველ რიგში პროცესის სრულყოფილად, ობიექტურად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად დაკვირვებას გულისხმობს. ორგანიზაცია აკვირდება ყველა იმ პროცესს, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს საარჩევნო გარემოზე, მათ შორის, დაკვირვება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი, რაც ძირითადად გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესსა და საქმიანობაზე დაკვირვებას;
- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართული საჯარო შეხვედრებისა და სხვა პოლიტიკური საქმიანობის დაკვირვება, აგრეთვე მათ მიერ ამომრჩევლისათვის მიცემული დაპირებების მონიტორინგი;
- ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამოვლენა და შესწავლა;
- პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარის, პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

²⁷ „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვების პროცესში ხელმძღვანელობს საერთაშორისო დეკლარაციით „არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ“, დეკლარაცია იხილეთ შემდეგ ბმელზე: <http://www.gndem.org/declaration-of-global-principles>; ხოლო შეფასებების დროს ეყრდნობა და იზიარებს ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პრინციპებსა და სულისკვეთებას